ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4788167

ნომერი: AR1721094

თარიღი : 27.11.2019

გაცემის თარიღი : 11.12.2019

გაცნობის თარიღი : 11.12.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, III მ/რ კორ. N31-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

№AR1721094 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ვინაიდან №3641811 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და მერის N1-1408 (15.06.2017) ბრძანება გაცემულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე და არა სახლებზე, პირველ რიგში საჭიროა შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება მერის N1-1408 (15.06.2017) ბრძანებაში.
ასევე, გაითვალისწინეთ, რომ სზ-6 ის დადგენილი კოეფიციენტი სრულად ათვისებულია შეთანხმებული პროექტით, რომელზეც გაცემულია მშენებლობის ნებართვა № 4577851 ბრძანებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მ/რ კორ. №31-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.10.08.005.102) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (სამი ბლოკი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.